საქართველოს კანონი

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20.12.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010170000.05.001.016513) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ოჯახის წევრი – ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მეუღლე, 18 წლამდე შვილი, მხარდაჭერის მიმღები სრულწლოვანი შვილი, მხარდაჭერის მიმღები ან ხანდაზმული (საპენსიო ასაკის) მშობელი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი ან მხარდაჭერის მიმღები სხვა პირი;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35^1 მუხლი:

„მუხლი 35^1. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში

ამ კანონის მიზნებისათვის ოჯახის წევრებად ითვლებიან აგრეთვე 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი სრულწლოვანი შვილი და მშობელი, სანამ მათი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3348-IIს